ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 229

ქალაქი ქუთაისი 25 სექტემბერი 2019 წელი

„ააიპ „სპეციალური სერვისებისათვის“ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №101 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ დირექტორის 2019 წლის 23 აგვისტოს №01-2/1224 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 18 სექტემბრის №01/20556 წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ააიპ „სპეციალური სერვისებისათვის“ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №101 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულების დანართიდან ამოღებულ იქნეს მე–20, 21–ე, 143-ე, 148–ე, 149-ე და 150-ე პუნქტები (20. სპეციალიზირებული ჰიდრავლიკურმცლელიანი ნაგვის შემკრები ავტომანქანა, მერსედეს ბენც ეკონიკ (როტოპრესი), სახელმწიფო ნომერი WFW-872, 1 ცალი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 35200.00; 21. სპეციალიზირებული ჰიდრავლიკურმცლელიანი ნაგვის შემკრები ავტომანქანა, მერსედეს ბენც ეკონიკ (როტოპრესი), სახელმწიფო ნომერი RVR-389, 1 ცალი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 35200.00; 143. მერსედესი უნაგირა საწევარა 1835/LS, სახელმწიფო ნომერი OBO-307, 1 ცალი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 32527; 148. მისაბმელი თვითმცლელი, სახელმწიფო ნომერი EZ-838, 1 ცალი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 17882; 149. მისაბმელი თვითმცლელი, სახელმწიფო ნომერი EZ-845, 1 ცალი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 25287; 150. მისაბმელი თვითმცლელი, სახელმწიფო ნომერი EZ-846, 1 ცალი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 7225).

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოძრავი ქონების დაბრუნების მიზნით საჭირო დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია